წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

პარასკევი, 25 მარტი, 1921 წ.

№ 19 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქართველოს კომუნ. პარტიის ცე-კა ხსნის საბჭოთა ღმშენებლობის კურსებს, რომელთა მოსმენა სავალდებულოა ყველა იმ ამხანაგ კომუნისტებისათვის, რომლებიც იგზავნებიან ადგილებზე სამუშაოთ.

პროგრამა.

1. მენშევიკების პოლიტიკა და საბჭოთა მთავრობის დამყარების აუცილებლობა საქართველოში. (2 საათი). ლექ ელიავა და ოკუჯავა.

2. საბჭოთა რუსეთის და კერძოთ. საბჭოთა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. (2 საათი). ლექ. ორახელაშვილი.

3. საბჭოთა მე-8 სიეზდის მუშაობა და რ. კ. პ. მე-X სიეზდი. ლექ. ნაზარეტიანი და ერქომაიშვილი.

4. საქართველოს კომ. პარტიის პოლიტიკა და საბჭოთა აღმშენებლობა. 6 საათი). ლექ. მახარაძე და კვირკელია

პირველი ლექცია შესდგება 28 მარტს, სღამოს 5 საათზე, ყოფილ ქალაქის გამგეობის ბინაზე. ს. კ. პ. ცე-კას მდივანი: ლ. დუმბაძე.

სოციალიზმის დონ-კიხოტები.

> „ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საერთაშორისო ინტერნაციონალის შესაქმნელად“.
> ფრ. ადლერი.

ვენაში გაიხსნა „საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი“ იმ „სოციალისტური“ პარტიების და ჯგუფებისა, [illegible] ცალკე პირებისა, რომლებიც გამოვიდნენ მე-2 ინტერნაციონალიდან, მაგრამ არ შესულან, თუ ვერ შესულან მე-3-ში. ამ „კონგრესს“ ხელმძღვანელობენ ავსტრიის სოციალდემოკრატია და საფრანგეთის ყოფილ სოციალისტური პარტიის ნაგლეჯი—ლონგეს მეთაურობით, აგრეთვე გერმანელი მემარცხენე დამოუკიდებელნი. ფ. ადლერი, ჟან ლონგე და დიტმან-კრისპინი,—აი ის რაინდები და გმირები, რომლებიც ლამობენ შექმნან ახალი 2½ ინტერნაციონალი. სისხლით და ხორცით ნამდვილი მორწმუნე შვილები მე-2 ყვითელი ინტერნაციონალისა, ისინი იძულებული შეიქნენ, რომ შეენარჩუნათ რაიმე გავლენა მუშათა მასებში, დაეტოვებინათ თავისი საყვარელი სადგომი—შეიდემანსკის ინტერნაციონალი და ეძებათ ახალი ოჯახი. მათი „გამბედაობა“ ამ ახალი სადგომის ძებნაში იქამდის მივიდა, რომ მათ მე-3 ინტერნაციონალში შესვლაც კი განიზრახეს. „ჩვენ სულით და გულით თქვენთან ვართ და სრულიად ვიზიარებთ თქვენ სამოქმედო გეგმას და პრინციპებსო“, – ასე განაცხადეს მათ სტრანსბურგში (ლონგემ), ლეიპციგში (დიტმან-კრისპინმა). მაგრამ კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელთ ბევრი და მეტად მნიშვნელოვანი საბუთები ქონდათ იმისა, რომ „ცოტა“ სკეპტიკურათ შეხვედროდენ მათ ასეთ განცხადებებს. იმპერიალისტურ ომმა და გერმანია-რუსეთ-უნგრეთის რევოლიუციების ისტორიამ ძალიან საეჭვოთ გახადა მათი „სოციალისტობა“ და რევოლიუციონერობა. ამიტომ კომუნისტური ინტერნაციონალი [illegible]ულ-გაშლილათ არ შეხვდა ლონგე-დიტმან-კრისპინების „სტუმრობას“. გამომუშავებულ იქმნა ცნობილი 21 პირობა კომინტერნში შესვლისა, რომლების მიღება სავალდებულო გახდა ყველა იმ პარტიებისათვის, რომლებიც კი სურვილს გამოსთქვამდნენ კომუნისტური ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. ამ პირობების მიღება კი ლონგე-დიტმან-კრისპინებისათვის ნიშნავდა მთელი მათი წარსულის უარყოფას და თავისი თავის ორგანიულად გარდაქმნას, რაც მათთვის, ცხადია, შეუძლებელი იყო. ამიტომ, როგორც კი იქნა წამოყენებული [illegible], ყველა კომინტერნში შემავალ პარტიებისათვის სავალდებულო პირობები,—მათ უკან დაიხიეს. მათი სიტყვიერი და ყოველ პასუხისმგებლობას მოკლებულნი განცხადებები კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულობის შესახებ—გაჰქრა, გაითანტა. აშკარა შეიქნა, რომ კომინტერნის კარები მათთვის ისევე უნდა [illegible] დახურული, როგორც შეიდემან-ნოსკე—რენოდელისათვის. ეს ასეც მოხდა. გალეში და ტურში ნათლად დაამტკიცეს, რომ მათ არავითარი საერთო არა აქვთ, როგორც კომუნისტურ ინტერნაციონალთან, ისე თავისი პარტიების მუშათა წრეებთანაც. გალეში კრისპინ-დიტმანი და ტურში ლონგე-პოლფორი უჯაროთ დარჩნენ.

პირველივე აშკარა შეტაკებაში კომუნისტურ ინტერნაციონალთან მათ გამოუსწორებელი დამარცხება იგემეს, სასიკვდილო ლახვარი მიიღეს. გერმანიის უდიდესმა პროლეტარულმა პარტიამ—დამოუკიდებელთა, თავისი მეთაურების წინააღმდეგ, გალეს კონგრესზე შეუერთდა კომუნისტურ ინტერნაციონალს. ასევე მოხდა საფრანგეთშიც. სოციალისტური პარტიის ტურის კონგრესმა დიდი-უმრავლესობით მიიღო 21 პირობა და შევიდა მე-3 ინ-ლში. ლონგე-დიტმანები კი იძულებულნი შეიქნენ ნიღაბი აეხადათ და თავისი ნამდვილი სახე გამოეჩინათ—რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ გარიყულნი დარჩნენ თავისი პარტიებიდანაც.

და აი, ეს სასიკვდილოთ დაჭრილნი კომუნისტურ ინტერნაციონალთან ბრძოლაში, უჯარო გენერლები, ხელოვნურად მოწყვეტილნი თავის ბუნებრივ სადგურს—მე-II ინტერნაციონალს და მე-III ინტერნაციონალის კარებიდანაც კი სამარცხვინოდ გამორეკილნი—ეძებენ ახალ სადგომს, ახალი ოჯახის აშენებას ლამობენ. მაგრამ ეს სოციალიზმის საცოდავი დონ-კიხოტები თითონაც ხედავენ, რომ მათი საქმე წასულია და ცდა უნაყოფო და ცრემლებ მორეულნი, ტრაგიკული ტონით აცხადებენ „რომანტიკ“ ფ. ადლერის პირით: ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საერთაშორისო ინტერნაციონალის შესაქმნელათო. და ეს სიტყვები. მართლაც „ოქროს“ სიტყვებია. იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ჯერ ისტორიაში არ ნახული გამბედაობით და პოლიტიკური შეგნებით, სამკვდრო-სასიცოცხლო საბოლოო გადამწყვეტ ბრძოლაშია ჩაბმული თავისი ისტორიულ მტრებთან, იმ დროს როდესაც სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება და ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა მთელი ქვეყნის პროლეტარული პარტიების მოქმედო პროგრამის დღიურ წესრიგშია დასმული და როდესაც მთელ ამ გრანდიოზულ ჯერ არ ნახულ დიად მოძრაობას „აჯანყებულ მონებისას“ სათავეში უდგას ერთი ცენტრალისტური, რკინის დისციპლინის მქონე რევოლიუციონური—სამხედრო შტაბი – მე-III კომუნისტური ინტერნაციონალი—აი ამ დროს ლაპარაკი იმაზე, „რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საერთაშორისო ინტერნაციონალის შესაქმნელად“, განა ეს „ოქროს“ სიტყვები არაა, მომაკვდავთა და ხავს მოკიდებულთაგან? ჭეშმარიტად, რომ უძლეველია მე-3-ე ინტერნაციონალი, როდესაც მისი საუკეთესო მოწინააღმდეგენი ასეთი სიტყვებით ისტუმრებენ თავის თავს და თავის საქმეებს... სასაფლაოში... სოციალიზმის მომავალი სერვანტესი ახალ „დონ-კიხოტ ლამანჩელს“ დასწერს ლონგე-დიტმან-ადლერის მოღვაწეობიდან.

ნასლბათი, მესიამოვნე

ეროვნული საკითხი საქართველოში.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეროვნული საკითხი იმ სახელმწიფოებში, სადაც მრავალი ერი მოსახლეობს. ასეთ მდგომარეობაშია საქართველოც. ჩვენი სამშობლო წარმოადგენდა იმ გზას, რომლითაც საუკუნეთა განმავლობაში აზიისა და ევროპის ხალხების მიმოსვლა წარმოებდა; მათი ნაწილი, უეჭველია, რჩებოდა ადგილობრივ. გარდა ამისა, ხშირი ომები, რომელთა წარმოება უხდებოდა ქართველ ხალხს, თავისი ისტორიის ხანგრძლივ მანძილზე, ათხელებდა კომპაქტურ მოსახლეობას და აქუცმაცებდა ტერიტორიას. პოლიტიკური პირობებიც ხელს უწყობდა აქაური მოსახლეობის ეროვნულ აჭრელებას. გარეშე იმპერიალისტური ძალა ცდილობდა უცხო ელემენტები ჩამოესახლებინა ჩვენში, მკვიდრი მცხოვრებნი დაესუსტებინა, ნაციონალური შუღლი ჩამოეგდო და ამ გზით თავისი ბატონობა განემტკიცებინა. თვით შინაგანი სოციალურ-ეკონომიური ვითარებაც ქმნიდა პირობებს ნაციონალურ აჭრელებისათვის საქართველოში. თავად-აზნაურობა, რომელსაც დიდძალი ადგილ-მამული გააჩნდა, ხოლო თავისი ძალებით მისი დამუშავების ხალისი, უნარი და შეძლება არ ჰქონდა, თავის მიწა-წყალზე სხვა ეროვნებათა ხალხს ასახლებდა, რომელიც მეტათ გაჭირვებული იყო და მძიმე პირობებზე თანხმდებოდა. ამ შემთხვევაში ყოფილ ბრწყინვალე წოდებას ვიწრო პირადი და წოდებრივი ეგოიზმი ამოქმედებდა, წინააღმდეგ ეროვნულ ინტერესებისა, რომლებზედაც მას ისე თავმომწონედ და ხმამაღლა უყვარდა ლაპარაკი. დასახელებულ და კიდევ სხვა მიზეზების მეოხებით, ჩვენი ტერიტორიის ეროვნული მთლიანობა შეიბღალა და საქართველოს სახელმწიფოში მრავალი ერი მოექცა. ეს ერები განირჩევიან ერთმანეთში ენით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით სარწმუნოებით და რასიულადაც კი. ასეთ პირობებში ეროვნული პრობლემის მოგვარება ადვილი არ არის და მას ჯეროვანი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. ეროვნულ უმცირესობათა ნამდვილი თვით-გამორკვევის ცნობა, მათი უფლებების აღიარება და რეალურად დაცვა საჭიროა არა მარტო სამართლიანობის და ჰუმანობის თვალსაზრისით, ეს აუცილებელია თვით სახელმწიფოს სიმტკიცისა და მთლიანობისათვის. ეს საანბანო ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ვერ შეიგნეს მენშევიკებმა. თავიანთი შოვინისტური პოლიტიკით, მათ ხელოვნურად გააღრმავეს ეროვნული შუღლი, ნაციონალურ უმცირესობებში დაბადეს სამართლიანი უკმაყოფილება და გააძლიერეს ცენტრიდან მსრბოლი ძალები. საკმარისია გავიხსენოთ მათი პოლიტიკა თუ გინდ მარტო ოსების მიმართ, რომელთა სრული ფიზიკური განადგურება მოიწადინა ყოფილ მთავრობამ და სანახევროდ კიდეც შეასრულა. სხვა ერების მიმართაც ვერ დაამყარეს ცოტად თუ ბევრად ნორმალური დამოკიდებულება. იქნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ერთის მხრით იყო გაბატონებული ქართველი ხალხი, მეორეს მხრით კი—უფლება შეზღუდული და მეორეხარისხოვანი ერები. ეს პოლიტიკა არსებითად მეტად საზიანო იყო თვით ქართველი ხალხისთვის და ობიექტიურად ემსახურებოდა მაზე სხვა მოსახლე ერების გადაკიდებას. ეროვნებათა შორის სიძულვილის გაღრმავებით და უფსკრულის ამოთხრით, მენშევიკები საძირკველს და ღუღაბს აცლიდნენ სახელმწიფოს, რომლის წარმატებაზე ისინი ვითომდა იღვწოდნენ. მეშმ[illegible]ტად, ამაზე უფრო ბრმა და გაკოტრებული პოლიტიკა წარმოუდგენელია. მაგრამ რა უნდა მოსთხოვო იმ ადამიანებს, რომლებიც, როგორც ბა[illegible] ფაქტებიდა ხაოლქყო, მზად იყვნენ მშობლიური ერის სასიცოცხლო ინტერესები და მიწა-წყალი გაეწირათ, ოღონდ თავიანთი ბატონობა აღედგინათ.

ასე გაწვავებული იყო ნაციონალური ურთიერთობა, როდესაც მენშევიკების მთავრობა დაემხო და საბჭოთა ძალაუფლება გამოცხადდა. ახალ ხელისუფლებას არ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია ამ გარემოებისათვის. და იგიც აქვეყნებს დეკლარაციას, სადაც აცხადებს, რომ საქართველოში ყველა მცხოვრებ ერს ენიჭება თვითგამორკვევის უფლება. რევოლიუციონური მთავრობა ეუბნება მათ: ჩვენ შევქმნით პირობებს, როდესაც არ იქნება გაბატონებული და დაჩაგრული ერი, როდესაც ყველა ერის პოლიტიკური და კულტურული უფლებები სავსებით იქნება უზრუნველყოფილი; თუ ასეთ გარემოებაში თქვენთვის სასურველია და სასარგებლო საქართველოს ფარგლებში დარჩენა, ასეთ გადაწყვეტილებას ჩვენ მივესალმებით, როგორც სხვა და სხვა ერების მშრომელ მასსების მჭიდრო კავშირის მაჩვენებელს; თუ სხვა გზას აირჩევთ, ხელს არ შეგიშლით; სახელმწიფოებრივი საზღვრები არ შეიძლება იმ კედლად აღიმართოს, რომელიც მუშათა კლასის შეკავშირებას მეტად გააძნელებს.—გასაგებია ის აღფრთოვანება, რომელიც გამოიწვია საქართველოს დაჩაგრულ ერებში მენშევიკების ნაციონალისტური მთავრობის დამხობამ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარებამ. ქეშმარიტად, ამ ფაქტმა მათთვის ეროვნულ განთავისუფლების ხასიათი მიიღო. ყველა მხრიდან მოსული მისალმებანი აშკარად მოწმობენ, თუ რა დიდი ნდობით და იმედით შესცქერიან საქართველოს ხალხები რევოლიუციონურ მთავრობას და, უეჭვოა, რომ უკანასკნელი სავსებით გაამართლებს ამ ნდობას და იმედს. ამ მხრივ მთავრობა უკვე დგამს შესაფერ ნაბიჯებს. ცენტრალურ მთავრობაში შედიან არა ქართველებიც. გადადებულია თანხა და ზომებია მიღებული დანგრეულ ოსეთის აღსადგენად. საერთოდ ერთა უფლებები სულ მოკლე დროში იქნება სათანადო კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბებული და ცხოვრებაში გატარებული. ზოგადი საფუძველი ნაციონალურ პრობლემის მოგვარებისათვის კი ის არის, რომ საქართველოში მცხოვრებ ყოველ ერს აქვს სავსებით თანასწორი უფლებანი, აგრეთვე აწევს თანაბარი ვალდებულებანი. საქართველო უნდა გადაიქცეს იმ ქვეყნად, სადაც ყოველი მასში მოქცეული ერი უნდა გრძნობდეს თავის-თავს მის ღვიძლ შვილად და მიაჩნდეს იგი თავის ნამდვილ სამშობლოდ.

კან.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტი—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

მოსკოვი. 23 მარტი. (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია). დაშლის, მაგრამ ეხლა ბევრი დაბრკოლებებია ნგრევის წინააღმდეგ ნაყოფიერ ბრძოლის საწარმოებლათ. ერთი მათგანი არის ცარცვა-გლეჯა, რომელიც შეიქნა და განვითარდა ზოგიერთ გუბერნიებში [illegible] მეოხებით, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ საბჭოთა ხელის უფლებას. ეს ბანდიტები, რომლებიც ჯგუფდებიან გლეხების დამცველთა ქურქის ქვეშ, საქმით არიან გამომხატველნი იმ კლასთა მის წრაფვებისა, რომლებიც ვერ ურიგდებიან მშრომელ მოსახლეობას. ბანდიტიზმი იტაცებს, სპობს და სტანჯავს ისედაც მატერიალურად [illegible]ტაკებულს და განაწამებ საბჭოთა რუსეთს... (გამიტოლეფულია) .. გლეხო! ნახე გამოსავალი შექმნილ მდგომარეობისაგან. გადარჩით-ვინ მოგვცემს ნამდვილათ ამ გამოსავალს.

გზა ლოცვა კურთხევისაკენ.

არსებობს სამი კლასი: თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და მუშა-მშრომელ გლეხობით. რა შეუძლიათ მოგვცეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა? მხოლოდ ახალი სასაკლაო და აგრეთვე ურ ცხვი უბედურება, რომელსაც მათ მიერ განიცდის ეხლა რუსეთის მუშათა კლასი, რუსეთის გლეხობა და მთელი სოფლის დაჩაგრული კლასი. რა შეუძლია მოგვცეს წვრილმა ბურჟუაზიამ ესერებმა, მენშევიკებმა და კერენსკის მიმდევრებმა? ამ ჯგუფების მიერ უფლებების დაბრუნება ნიშნავს ქარხნების კაპიტალისტების და მიწების მემამულეთათვის დაბრუნებას და მშრომელთა შეუწყნარებელ ექსპლოატაციას, — და დღეს ყველა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის, ატარებს უპარტიოს სახელს, სტყუის, რადგანაც მას ზურგს უკან სჩანს კერენსკის

დღეს ნომერში:

გერმანელ ელჩის განცხადება: იმედს გამოსთქვამს, საქართველოსა და გერმანიას შორის დამყარდება კეთილი განწყობილება, რაც ორივე ხალხისათვის მეტად სასარგებლო იქნება.

სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტის სესია: მისალმება წითელ არმიას; კალინინის სიტყვა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცებასა და რევოლიუციონურ წესრიგის დაცვაზე.

ამერიკა უარს აცხადებს მონაწილეობის მიღებაზე ნაციათა ლიგის და ანტანტის კონფერენციაში, რომელიც მოწვეული იქნება გერმანიის ახალშენების საკითხის გადასაწყვეტად.

ინგლისში უმუშევართა რიცხვი თანდათან მატულობს.

ირლანდიაში მღელვარებაა.

მიმყევართა და ბურჟუაზიის ყურები, რომლებიც ხარბად იშვერენ ხელებს იმ სიმდიდრისკენ, რომელიც მათ წაერთვა.

რჩება მე-3 კლასი, რომელსაც ეხლა უპყრია ხელისუფლება—მუშები და გლეხები. მხოლოდ მათ თვითონ შეუძლიანთ ძმური კავშირით გააუმჯობესონ თავისი კეთილმდგომარეობა. საამისო გზას წარმოადგენს როგორც ქარხნების, აგრეთვე ნაყოფიერობის გაძლიერება. რაც უფრო მეტ საქონელს დაიმუშავებს მუშა, რაც უფრო მეტ მიწას დასთესს გლეხი, მით უფრო ჩქარა გაუმჯობესდება მათი ცხოვრება.

სახელმწიფო გადასახადი.

წარმოების მოუწყობლობის გამო? ეხლა მუშას არ შეუძლიან ჯერ-ჯერობით მისცეს გლეხს საკმაო საქონელი, მაგრამ გლეხს აქვს სრულიად კანონიერი სურვილი მიიღოს გასამრჯელო თავის სასოფლო-მეურნეობის შრომაში. მთავრობამ გაუწია რა ანგარიში ამას, გამოიმუშავა კანონი, რომელიც მისცემს გლეხს საშუალებას დაიტოვოს სურსათის ნაწილი თავისთვის და ამასთანავე აღუძრავს სურვილს მეურნეობის გაუმჯობესობისას.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სიმდიდრე შემცირდა, გაფლანგა და ამიტომ უნდა აღვადგინოთ იგი. უნდა გამოვკვებოთ ის მუშები, რომელნიც მუშაობენ ამ დაშლილ მეურნეობის აღსადგენათ. აი რისთვის არის გაწერილი სახელმწიფო გადასახადი. სახელმწიფო გადასახადი უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ბეგარა. ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებით კი იგი თანდათან შემცირდება და როდესაც დადგება წარმოების აღდგენის ხანა, ჩვენ მოგვეცემა საშუალება დავაკმაყოფილოთ გლეხობა სრულიად. გადასახადის შემოღებით დამყარდება წესიერი გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. რაც კი გადარჩება გლეხს სახელმწიფო გადასახადის მოშორების შემდეგ, გადავა მის სრულს განკარგულებაში. მას შეეძლება ეს ზედმეტი სურსათი გადასცვალოს ქალაქის ნაწარმოებზე კოოპერატივებსა და ბაზრებში. ასეთი გაცვლა-გამოცვლის მაგალითები ჩვენ ვნახეთ ადგილობრივ. ასე, მოსკოვის გუბერნიაში შესრულებულ იქმნა ტყავის ბეგარის 300%. დარჩენილი ტყავი კი გლეხებს შეეძლოთ გადაეცვალათ ან დაემუშავებინათ თავის საჭიროებისათვის. ეხლა ამ გადასახადის შემოღებით ასეთი მდგომარეობა მყარდება მთელს რესპუბლიკაში. **საერთო ძალღონით** „ძლიერ დიდი დაბრკოლებანი გვეღობებოდენ ჩვენ წინათ“, ათავებს ამხ. კალინინი, მაგრამ ჩვენ შევძელით მათი გადალახვა. სამი წლის მუშაობას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეხლა მუშათა და გლეხთა საერთო ძალღონით დავძლევთ ყველა დაბრკოლებას.

ნატურალურ გადასახადის კანონის მიღება.

ამხ. კალინინის მოხსენების შემდეგ გამოაქვეყნეს ნატურალურ გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც ერთხმად მიღებულ და გადაცემულ იქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისადმი საბოლოოთ დასამუშავებლათ.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება წითელი არმიის შესახებ.

უკანასკნელ დღეების განმავლობაში საბჭოთა რუსეთმა მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულებას პოლონეთთან, სავაჭრო შეთანხმებას ინგლისთან და ხელშეკრულებას ოსმალეთთან.

ამ სერიოზულ საერთაშორისო წარმატების უპირველეს ყოვლისა შეუწყო წითელ არმიის, ე. ი. შეიარაღებულ მუშების და გლეხების გამარჯვებათა წყალობამ, რომელთაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა რესპუბლიკის სახელით ხელახლათ [illegible]

დემობილიზაცია.

შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, სამხედრო მოსამსახურეთა ყველა წლები და კატეგორიები, რომელთა გაშვებაც უვადო შვებულებაში გადაწყვეტილი იყო საბჭოთა მე-8 ყრილობის მიერ, დათხოვნილი უნდა იქმნენ, რაც შეიძლება, მოკლე ხანში. ყველა სათანადო დაწესებულება ვალდებულია, რომ ამ დათხოვნის საქმეს და თვით დათხოვნილებსაც აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება.

წითელი არმია უფრო უნდა გამაგრდეს

ამავე თანავე ერთად სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი თავის მოვალეობათ სთვლის რუსეთის და მთელ ქვეყნის მშრომელთა მასის წინაშე დაადასტუროს მატერიალურ და სულიერ გამაგრების საჭიროება მუშურ-გლეხურ წითელ არმიისა, რომელსაც შეუძლიან უზრუნველჰყოს ხელშეუხლებლობა ქვეყნისა და შემდეგში მისი სოციალისტური განვითარება. მტაცებელ იმპერიალიზმს ჯერ კიდევ არ დაუყრია იარაღი. პირიქით, მთელს ქვეყანაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუხწევია თავი ხალხთა უკანასკნელ ბრძოლის აღმაშფოთებელ შედეგებისაგან, კაპიტალისტური კლასები და მათი მთავრობანი უნასავ.. (დამახინჯებულია)... გაშმაგებით ამზადებენ ახალ შეჯახებებს და ომებს. კაპიტალისტური დამარცხებული სტრატეგები... (დამახინჯებულია)... როგორც გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი ინთქებიან ნაწილ-ნაწილ, ჩამორჩენილი ხალხები უფრო მეტად, ვიდრე როდისმე შეადგენენ ყიდვა-გაყიდვის, მტაცებლობის და დაჩაგვრის საგანს. მუშურ-გლეხური რესპუბლიკა წინანდებურათ იჟღენთება მტარვალთადმი სიძულვილით. არას დროს წყევლას, მისისინებას, წაქეზებას და პროვოკაციას ჩვენი მხარის წინააღმდეგ არ მიუხწევია იმ ზომამდე, როგორც ეხლა. ჩვენი ნებისყოფა-შევინარჩუნოთ მშვიდობიანი დამოკიდებულებანი ყველა სხვა ხალხებთან — დაურღვეველია.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიყვნეთ შეკავშირებულნი, მტკიცენი და შეიარაღებულნი, თუ გვინდა უზრუნველვყოთ ჩვენ საზღვრებზე მშვიდობიანობა და ვუშველოთ ჩვენს თავს იმპერიალისტურ მონობის და ახალ თავდასხმებისაგან.

ხურვილია წითელი არმიის საშველათ.

ყველა ორგანოები და დაწესებულებები, მხარისა უნდა მიეშველნენ წითელ არმიას, რომელიც შემცირებულია თავისი რიცხვით, მაგრამ ძლიერია თავის სულიერი ორგანიზაციით. რამდენათაც კი მძიმე არ იყვეს ჩვენი მდგომარეობა ომის, ბლოკადის და იმპერიალიზმის აგენტების (ყაჩაღურ) ზურგში მუშაობის შედეგების გამო, ჩვენ მაინც უნდა გავაკეთოთ და გავაკეთებთ კიდეც ყველაფერს, რომ წითელი ლაშქარი იქმნეს გამოკვებილი და ჩაცმულ—დახურული. ყოველივე ყურადღებობა და დაუდევრობა ლაშქრის ნამდვილ საჭიროებების დარგში სახელმწიფო მძიმე დანაშაული იქნება.

პოლიტიკური და სამხედრო აღზრდა წითელ ლაშქრებისა უმნიშვნელოვანესი მიზანია.

ქვეყნის კარგ მომუშავეთა ძალღონით უნდა ყოველნაირად ამაღლებულ იქმნას წითელი მეომარის სამხედრო და პოლიტიკური აღზრდა. სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებანი უნდა შეიქმნეს მზრუნველობით ყურადღების საგნად მუშურ-გლეხურ რესპუბლიკისა, უნდა შეიქმნას მატერიალური და სულიერი პირობები, რომლის [illegible] სარდლობის [illegible] შემადგენლობას [illegible] განუწყვეტლივ გაუმჯობესება თავის ბუნებრივ საქმეში, რაც შეიძლება მეტი რიცხვი ნიჭიერ სარდლობისა გამოიყვანონ თავის წრიდან, რომლებიც იქნებიან მშრომელ მასის [illegible] სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტი წინადადებას აძლევს თავის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს შეკრიბოს შემდეგ სესიისათვის. ყველა ცნობა ცენტრალურ ორგანიზაციების და დაწესებულებათა მუშაობის შესახებ, ჩვენი ლაშქრის სამეურნეო, საომარ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს, მშვიდობიანობის და სოციალისტურ აღმშენებლობის დარაჯათ მდგომს! სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

საბჭოთა რუსეთში.

აღმოსავლეთის ქალებმა გამოიღვიძეს.

ალმატა, 14 მარტი. (რადიო) მომუშავე ქალთა საერთაშორისო დღემ მთელს სემირეჩინსკის ოლქში დიდის სიცხოვლით და ზეიმით ჩაიარა. ამ დღეს პირველად გამოვიდენ ტრიბუნაზე მუსულმანი ქალები, რომელთაც გამოსთქვეს თავისი მხურვალე სურვილი ბრძოლისათვის მამაკაცებთან ერთად. ტაშკენტში პარიზის კომუნის ნახევარ საუკუნის დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდენ მუსულმანური ორგანიზაციები, რომელთა შორისაც ერჩეოდა მუსულმან ქალთა რაზმი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება.

მოსკოვი, 23 მარტი. (რადიო) 1920 წლის განმავლობაში ურალზე შეაკეთეს 170,000 გუთანი, 90,000 ფარცხი 200,000 სათიბი მანქანა და 10,000 სალეწი მანქანა. პერმის რაიონში დაამზადეს 2,000 გუთანი, 3,000 სალეწი მანქანა და 220,000 ცელი.

სურსათის დამზადება უკრაინაში.

ხარკოვი, 21 მარტი. (რადიო). კვირაში... (დამახინჯებულია)... უკრაინამ დაამზადა დაახლოვებით 60 მილიონი ფუთი ხორბალი, 15 მილიონი შვრია ქერი, ერთ მილიონ ფუთზე მეტი ზეთის თესლეულობა და 3 ხახვ. მილიონი ფუთი ხორცი.

საზღვარ-გარეთ

აჯანყებული ირლანდია.

დუბლინი. ამ დღეებში ნიღაბ აფარებული ჯგუფი რიცხვით 100 კაცამდე, შევარდა ჩრდილოეთის დიდი რკინის გზის საზოგადოების საქონლის სადგურის დეპოში. უბრძანეს რა მოსამსახურეებს არ დაძრულიყვენ ადგილებიდან, გადაჭრეს ტელეფონის მავთულები, რის შემდეგაც არხეინათ გზას გაუდგენ.

დუბლინი. მონკესტელის უბანში მთავრობის ფოსტალიონზე, რომელსაც მიჰქონდა ოფიციალური კორესპონდენცია ჯავშნიანი ავტომობილის თანხლებით, შეიარაღებულმა ჯგუფმა მოახდინა თავდასხმა. თავდამსხმელებს დაუწყეს სროლა ტყვიის მფრქვეველებიდან, მაგრამ მათ მოასწრეს უვნებლათ დამალვა.

ამერიკა უარს ამბობს.

ნაუენი, 20 მარტი. (რადიო). გარდინგის მთავრობამ გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიაც იგი უარს აცხადებს ამერიკის მხრივ მონაწილეობის მიღებაზე ნაციათა ლიგის და ანტანტის კონფერენციაში, რომელიც მოწვეულია გერმანიის ახალშენების საკითხის გამო. ამერიკის მთავრობა იტოვებს უფლებას მოაწესრიგოს ეს საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით.

უმუშევართა ზრდა ინგლისში.

ნაუენი, 20 მარტი. (რადიო). 11 მარტს ინგლისში ირიცხებოდა 1.315.000 უმუშევარი.

გერმანელ ელჩის რაუშერის განცხადება.

ამხ. შეინმანთან ერთად თბილისში ჩამოსულმა გერმანელმა ელჩმა რაუშერმა შემდეგი განუცხადა გრუზტას თანამშრომელს: ეხლახან გათავებულ ომის დროს მე უნდა ვყოფილიყავი იქ, სადაც იმყოფებოდა საქართველოს ყოფილი მთავრობა, რომელთანაც მე ვიყავი წარმოგზავნილი. როდესაც ამ მთავრობამ დატოვა სახელმწიფო და ჩამოერთვა მას ფაქტიური ხელისუფლება, მე აუცილებლათ ვთვლიდი, როგორც საქართველოს, აგრეთვე გერმანიის ინტერესებისათვისაც, რაც შეიძლება ჩქარა დავბრუნებულიყავი საქართველოს დედაქალაქში. მიუხედავათ იმისა, რომ მგზავრობა ძალიან ძნელი იყო აფეთქებულ ხიდების გამო, მე მაინც ჩქარა ჩამოვედი თბილისში და მაშინვე შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას. გაზეთების ცნობა იმის შესახებ, ვითომ და მე განზრახული მქონდა ევროპაში წასვლა, სიმართლეს მოკლებულია. სხვა დიპლომატიურ წარმომადგენელთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მე მუდამ იმ აზრის ვიყავი, რომ არ წავსულიყავი კავკასიიდან. მე დავრჩი აქ, რასაკვირველია, არა მარტო ჩემი სურვილის თანახმად, არამედ ჩემი მთავრობის ნებართვითაც. ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, თუ რა დიდი ინტერესით ეპყრობა გერმანია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბედს. თბილისი დიდათ მნიშვნელოვანია გერმანიისათვის, განსაკუთრებულათ მნიშვნელოვანია მით, რომ ანტანტას და ოსმალეთს შორის დროებითი ზავის პირობათა ერთ-ერთ შესანიშნავი მუხლით სასტიკათ ეკრძალება ყველა გერმანელს არა თუ ცხოვრება, არამედ დროებით გამოსვლაც კი ოსმალეთში. უნდა გითხრათ, რომ საბჭოთა თბილისმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე მაკვირვებს ორი რამ: **წესრიგი და სრული სიმშვიდე ქალაქში, აგრეთვე ყველა ხალხისათვის აუცილებელ დაწესებულებების წესიერი მუშაობა**, სახელდობრ წყალსადენის, ელექტრონის სადგურების და ტრამვაის. უნდა ვთქვა, რომ კავკასიას შეუძლია გამოიყენოს თავისი სიმდიდრე მხოლოდ ბაქოსა და ბათომის შორის პირდაპირი დამოკიდებულებით. ბათომი არის ისეთი ნავთსადგური, საიდანაც უნდა შემოვიდეს იმპორტი მთელ კავკასიაში. ბაქოს კი შეუძლია მისცეს ყველაფერი, რაც აუცილებელია კავკასიის მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებისათვის. ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც ავიწროებს ან შლის ბაქოსა და ბათომს შუა პირდაპირ მიმოსვლას, შეავიწროებს და დაანგრევს კავკასიის საცხოვრებელ ძალღონეს და შესწყვეტს მეზობელ რესპუბლიკებისადმი საჭირო საგნების მიწოდებას. ის გარემოება, რომ ჩემმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა თფილისში ჩემ დარჩენაზე, აშკარათ ამტკიცებს მის განზრახვას, პოლიტიკური კავშირის დაცვას კავკასიასთან. მე არ შემიძლიან ვსთქვა, თუ როგორი ფორმა იქნება მიღებული ჩემი მთავრობის მიერ, საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, კავკასიასთან პოლიტიკურ დამოკიდებულების განსამტკიცებლათ, როგორ დიპლომატიურ ნაბიჯებს გადადგამს ის ამ შემთხვევაში. მე ჯერ არ მაქვს ინსტრუქცია ბერლინიდან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მიზანი იქნება გერმანიის და საქართველოს ერთა შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცება, მიუხედავათ ორივე სახელმწიფოს ამა თუ იმ შინაგან რეჟიმისა. ორივე ერთა შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცება გააუმჯობესებს გერმანიისა და საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას, რასაც მე დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი და მთელი ქართველი ხალხი.

დაუყოვნებლივი საკითხი

საქართველოში დღეს ისეთი პოლიტიკური წყობილება მყარდება, რომელსაც [illegible] მთელი ქვეყნის ბურჟუაზია უღიერს უტოპიას უწოდებდა, მაგრა თუ კი ასეთი უტოპია ერთ დღეს ნამდვილად ხორცშესხმული იქნებოდა, მას სახელად ცუდს არავის დაარქმევდა!

ამ შეხედულობას ყველა,— ზოგი არა სოციალისტი, [illegible] და მაშასადამე სოციალისტებს [illegible] კრედიტი რჩებოდა, რომ იგი თეორიაში მაინც სამართლიანობის განხორციელება იყო. ეს უკანასკნელი თვისება, თუ ატრიბუტი, ქვეყნის ბურჟუაზიულ მსოფლ-მხედველობას როდი მიეპოვება და სოციალისტური კონცეპციის მთელი ძალაც ამ ჭეშმარიტების აღიარებაში მდგომარეობს, ე. ი. სოციალიზმი ყველაფერში სამართლიანობის და ერთ[illegible] განხორციელებას ნიშნავს, სხვა [illegible] პოლიტიკური რეჟიმი კი სხვადასხვა პრივილეგიების, ე. ი. უპირატესობის დამცველია. [illegible] ვითომცდა სოციალიზმი [illegible] განხორციელებაში, ერთხელვე და სამუდამოდ უცვლელ, ვიწრო კალიბრიანი მუხრუჭი იყოს, წინააღმდეგ, სოციალიზმი მუდმივი განვითარების და ძიების პროცესია, მეცნიერულის კვლევით თვით მისი აზრიც ბუნებრივ სხვადასხვაობასთან შეგუებას ნიშნავს, ჩვენ კიდევ უფრო შორსაც წავალთ და ვიტყვით, რომ სოციალიზმიც იმდენია, რამდენიცაა ბუნებრივი სხვადასხვაობა უთვალავ ქვეყნებისა; ეს ყველაფერი წვრილმან საკითხთა გადაწყვეტაში, მხოლოდ დედა აზრი სოციალიზმისა ყველგან ურყევი რჩება, რათა სამართლიანობის დაცვა ყველგან ულალატოდ უნდა მოხდეს.

პერსპექტივები არ უნდა გვიდგეს თვალწინ, ჩვენ მაინც დღეს არსებულ სინამდვილეს უნდა გაუწიოთ ანგარიში. და ბევრგან დათმობაც რომ დაგვჭირდეს, ის მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად საბოლოვო გამარჯვებას უკანასკნელი გარემოებაც ხელს უწყობს.

დღეს იმ უსაჭიროეს საკითხთა შესახებ მსურს ლაპარაკი, რომელთა გადადება ერთი დღითაც აღარ შეიძლება: საქართველოსა და ევროპის შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობანი მივიწყებას ვერ მიეცემიან. დიდმა რუსეთმა უკვე აღიარა ამ დამოკიდებულებათა საჭიროება და თანაც სავაჭრო და სამრეწველო ხელშეკრულებანიც დასდო, მაგალითად, ინგლისთან.

საქართველოს, როგორც ბუნებრივად და პოლიტიკურადაც დამოუკიდებელ რესპუბლიკას თავისი განსაკუთრებული მოთხოვნილებანი მოეპოვება, რის დამტკიცება მეტად ადვილია, და ამიტომ ვერ დავივიწყებთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ განსაკუთრებულობას.

საქართველოს მეურნეობა ზოგ სხვა საწარმოვო იარაღებს მოითხოვს, მაგალითად ბრანდენბურგის ქვიშნარ ნიადაგისთვის აგებული გუთანი საქართველოს ლეგეზ მიწას როდი მოხნავს, ამ ორ შემთხვევაში ნიადაგთა გაძალების კოეფიციენტები სულ სხვა და სხვა არიან. საქართველოს რევოლუციონურმა მთავრობამ უნდა უარყოს რადიკალურად ის დამღუპველი რუტინა, რომელმაც მენზევიკებს საქართველოს დოვლათი მილიარდების თუ საფასო მასალის სახით ევროპაში ისე უაზროვო დააფლანგვია! დღეს ჩვენ წინ გადაუწყვეტლად სდგანან მრავალნი ისეთი საკითხები, რომელნიც შეიძლება პირველ შეხედვაზე თავისი ბუმბერაზობით ვერ გაგვაკვირვებენ მაგრამ მათი გადაჭრის დაყოვნება ჩვენს მეურნეობითს და მრეწველობითს ისედაც შეფერხებულ საქმეს სამუდამოთ ჩაასამარებენ. მაგალითისთვის საკმარისია მოვიგონოთ, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება წელს ჩვენი მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მევენახეობა, რომელიც 80 პროც. შეადგენს მთელი ჩვენი ეროვნული წარმოებისას, რომ მას ამ ერთ თვეში გოგირდი და შაბიამანი არ მივაწოდოთ. ამისთანა მაგალითების მოყვანა ბევრი შეგვიძლია, საუბედუროდ დღეს არც ერთ მათზე კაცი არ ზრუნავს. რევოლუციონური მთავრობა ვერ გახდის ამ ულრეს საკითხებს კერძოთა სპეკულიაციის საქმეთ და ამიტომ საჭიროა მან ერთხელ კიდევ განუმეოროს ევროპას, რომ მისი დამყარებით საქართველოს მოთხოვნილებანი კი არ იკლებენ, არამედ იმატებენ, აგრეთვე უკანასკნელის ეკონომიური აქტივობაც. შინ კი დღევე უნდა შეუდგეს იმ ცხოველმყოფელი ტეხნიკური შტაბის შექმნას, რომელმაც უნდა აღორძინოს საქართველოს ეკონომიური მაჯისცემა და მშრომელ ხალხს მოუპოვოს ნივთიერი უზრუნველყოფა. ამით რევოლუცია არა მარტო თუ გაიმარჯვებს, არამედ იგი შეიძენს უსაჭიროეს გუნდს ნამდვილ და ერთგული მუშაკთა, რომელნიც ყოველთვის მზად იქნებიან შესწირონ ერის აღორძინების საქმეს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, და ამავე დროს იგი მოიხვეჭს თვით ქართველი ერის უსაზღვრო სიყვარულს პატივისცემას და ერთგულობას. დაყოვნება აღარ შეიძლება.

ინჟ. აგრონომი-ტექნოლოგი

ნ ჯანაშია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი მე-11 სარევ. სამხედრო ტრიბუნალის და მისი სადივიზიო განყოფილებისთვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეების საქმეთა დროებით დაქვემდებარების შესახებ.

§ 1.

ბოროტ-მოქმედებანი, რომლებიც თავის თვისებებით წარმოადგენენ საშიშროებას საქ. სოც. საბჭ. რესპ. თავდაცვისთვის, და ის მოქმედებანი, რომლის დაშვება ჯარით დაბანაკებულ რაიონებში ხელს შეუწყობს დეზორგანიზაციას და წითელ ლაშქრის ბრძოლის უნარის შემცირებას, ექვემდებარება გასარჩევათ ლაშქრის რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

§ 2.

ყველა სამხედრო ტყვეები მე-11 ლაშქრის სამხედრო მოქმედების რაიონში, რომელიც შემჩნეული იქნებიან კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში, თუ ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს რევკომის მიერ სამხედრო და საერთოდ სისხლის სამართლის ქვეშ მყოფ პირთათვის ამნისტიის გამოცხადების შემდეგ ექვემდებარებიან მე-11 რევ. ტრიბუნალს.

§ 3.

ყველა ბოროტ-მოქმედების ჩამდენნი, რომელნიც გადაცემული არიან რევ. ტრიბუნალზე თანახმად „იზვესტიის“ 67-ში ს. ც. ა. კ. 27 მარტს 1920 წლ., გამოქვეყნებულ დებულებისა, თუნდაც ბოროტ მოქმედებაში მონაწილეთაგან მარტო ერთი კაცი იყოს, ექვემდებარება მე-11 რევ. ტრიბუნალს.

§ 4.

იმ პირთა საქმეები, რომელთაც ბრალათ ედებათ ჯაშუშობა, შეთქმულება და კონტრ-დაზვერვაში სამსახური, ექვემდებარება მე-11 რევ. ტრიბუნალს.

შენიშვნა: ეს პარაგრაფი ვრცელდება იმ საზოგადოებებზე და კერძო პირებზე, რომელთაც მიზნათ აქვთ სოციალისტ. საბ. წესწყობილების დამხობა.

შენიშვნა 2. მე-4 პარაგრაფი ვრცელდება აგრეთვე ჯგუფებზე და კერძო პირებზე, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული საბჭოთა მთავრობის დამხობა საქართველოს რევკომის მიერ ამნისტიის გამოცემის შემდეგ.

§ 5.

საქართველოს რკინის გზათა ყველა მოსამსახურენი, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულის გამო, დროებით საქ. სოც. რესპუბლიკის რევტრიბუნალის შექმნამდე, პასუხისგებაში ეძლევიან მე-11 რევტრიბუნალში.

§ 6.

მილიციის ყველა მოსამსახურენი, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულის გამო, დროებით, საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევტრიბუნალის შექმნამდე, პასუხისგებაში ეძლევიან მე-11 რევტრიბუნალში.

§ 7.

იმ მოქალაქეთა საქმეები, რომელთაც ცარცვა გლეჯაში ედებათ ბრალი, ექვემდებარება მე-11 რევტრიბუნალს.

ბრძანება № 2.

კონტრ-რევოლიუციასა, ჯაშუშობასა, სპეკულიაციასა, თანამდებ. პირთა ბოროტ მოქმედებასა და ცარცვა გლეჯასთან მებრძოლი საქართველოს საგანგებო კომისია. მარტი 1921 წ. ქ. თფილისი.

უკანასკნელ დროს შემჩნეულია, რომ ქალაქ თფილისში სხვადასხვა სასურსათო დუქნებთან და მაღაზიებთან იკრიბება მოქალაქეთა დიდი ჯგუფები—რიგები სურსათის მიღების მოლოდინში.

საგანგებო კომისიის მიერ შეკრებილ ცნობებით, ასეთი მრავალ რიცხოვანი რიგები გამოწვეულია იმით, რომ ვაჭრებმა თავის საქონელი მიმალეს, იმ მოსაზრებით, რომ გამოიწვიონ კიდევ მეტი სიძვირე, ისარგებლონ მშრომელი ხალხის საშინელი გაჭირვებით და შემდეგ კიდევ უფრო აწეულ ფასებში გაასაღონ თავისი უამრავი საქონელი, ერთი მხრით, და გამოიწვიონ ხალხის უკმაყოფილება მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე—მეორე მხრით.

ასეთ მოვლენას საგანგებო კომისია სთვლის ფრიად არა ნორმალურად, ვაჭრების მოქმედებას კი, რომლებიც საქონელს 300—400 პროცენტით აძვირებენ, საგანგებო კომისია სთვლის საშინელ ბოროტ-მოქმედებათ და კონტრ-რევოლიუციონურ აქტათ.

საგანგებო კომისია, იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულ მოვლენას, ამით აცხადებს საქართველოს მცხოვრებთა და აგრეთვე როგორც ქ. თბილისის, ისე საქართველოს ყველა ქალაქების ვაჭართა საყურადღებოთ, რომ ვაჭრების ასეთი უსინდისო მოქმედება ჩათვლილ იქნება როგორც კონტრ-რევოლიუციონური აქტი, მუშათა და გლეხთა და აგრეთვე მათ ინტერესების დამცველ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული.

ამიტომ საგანგებო კომისია უბრძანებს ყველა ვაჭრებს 3 დღის განმავლობაში აშკარათ ბაზარზე გამოიტანონ მიმალული საქონელი, როგორც მაგ.: ფქვილი, შაქარი, ყველი, ბრინჯი, კარაქი, ზეთი, ხორცი, ხილი (ვაშლი და სხვა) და სხვა აუცილებელი პირველ მოთხოვნილების საქონელი და გაჰყიდონ ის აშკარად საქალაქო რევკომის მიერ გამოცემული ნიხრის მიხედვით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება საგანგებო კომისიისა შესრულებული არ იქნება ყველა დამნაშავე ვაჭრები და ისინი, ვინც მათ ხელს შეუწყობს ასეთ უმაგალითო ცარცვაგლეჯაში, **სიკვდილით დასჯილი იქნებიან, მათი ქონება კი უფასოთ ჩამორთმეული იქნება და გადაეცემა სათანადო დაწესებულებებს.**

ყველა მოქალაქენი ვალდებული არიან, ყოველი დამალულ საქონლის ადგილები და ცნობები დაუყონებლივ შეატყობინონ საგანგებო კომისიას, ვინაიდან ასეთი შეტყობინება არ იქნება „გამყიდველობა“, არამედ ყოველივე პატიოსან მოქალაქის მოვალეობის ასრულებაა პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე
ქ. ცინცაძე.
ადმინისტრატიულ ორგანიზაციულ განყოფილების უფროსი ნოვიცკი.
მდივანი კ. იაშვილი.

წითელ საქართველოს!

დღეს გეფრქვევა, გექსოვება შენ სხივები მზისა,
შენი მთების ორწოხებში ღამე შიშით თრთისა,
შენს ცაზედა აღარა სჩანს აწ შავი ღრუბლები,
იქ-აქ ობლათა დაძრწიან მათი ნაფლეთები.
ვინ დაგტირის ავრე მწარედ გაწეწილი თმითა,
დაკაწრული ლოყებით და მგლოვიარე ხმითა,
მოძმესაკენ მიღირებულ დაჟანგული ხმლითა
დაკარგული აწმყოს წყევით, საწამლავის სმითა?
შენი ძუძუთი ნაწოვი ორგული შვილები,
მათგან ბევრჯერ მიგიღია ტანჯვა-ტკივილები,
არა ერთხელ დაუღრუბლავთ შენი მზის სხივები,
არა ერთხელ მოგხდენია მათგან გულს ტყვიები.
შენ აწ იმათ არ გაუწევ მშობლიურ ზრუნვასა,
შენ აწ იმათ არ მოაკლებ სიძულვილს, კრულვასა,
შენ გულ-მკერდსა გადაუშლი შენს ერთგულ შვილებსა,
შენი შრომის უბნებში მყოფთ, შობილ-აღზრდილებსა.
აჰა, ხედავ შენ იმათმა, როგორ შეგამკესა,
წითელ ფარჩის ტანთსაცმელით მოგრთეს-მოგკაზმესა?
რომ გარდიქმნე ნატრულ ქვეყნათ, მზგავსი სამოთხისა,
თავისუფლების სამეფოთ ძმობა-ერთობისა,
დიდება შენს ახალ სახელს ,ასხივოსნებულსა,
ვაშა შენს ხალხს მტრის ბრძოლაში აწ გამარჯვებულსა.

4 მარტი.
ქუთაისის ციხე.

სანდრო ეული.

ქრონიკა

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ამხ. მახარაძესთან. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს ჩრდილო ანგორის მთავრობის წარმომადგენელი ხუშა-მედინი, რომელმაც განუცხადა ამხ. მახარაძეს, რომ ანგორა მეტად მეგობრულად უცქერის საბჭოთა საქართველოსაო. იმავ დღეს ამხ. მახარაძე ინახულა გერმანიის მისიის მეთაურმა რაუშერმა, რომელმაც აცნობა, რომ გერმანიის მთავრობამ დაავალა მას იყოს წარმომადგენლად საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან. ამხ. მახარაძესა და რაუშერს შორის გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ორახელაშვილს თანდასწრებით გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს გამოირკვა სრული შესაძლებლობა გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობისა.

◆ **აფიცრების განთავისუფლება.** განსაკუთრებულმა რაზმმა გაანთავისუფლა საპატიმროდან და გაუშვა თავთავის სახლში ორი ჯგუფი აფიცრებისა. რომლებიც ბაქოდან მოვიდნენ რიცხვით 150 კაცი.

◆ **სომხეთის რევკომის წევრთა წასვლა.** 22 მარტს თფილისიდან სომხეთში სასწრაფო მატარებლით გაემგზავრენ სომხეთის რევკომის წევრები.

◆ **რუსეთის მისიის წევრთა წასვლა.** 23 მარტს საღამოთი თფილისიდან მოსკოვს პირდაპირი მატარებლით გაემგზავრა ნაწილი რ. ს. ფ. ს. რ. მისიის წევრებისა.

◆ **ტელეგრაფის შეკეთება.** 22 მარტს შეკეთდა ტელეგრაფი თფილისიდან ბათომამდე. ტელეგრაფი კარგათ მუშაობს.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე ყოფილ აფიცრების ეკონომიურ საზოგადოების შენობაში—კიროჩნი ქუჩაზე. იქვე გადავიდა მუშათა მაგიდაც.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** მევინახეობისა და მეღვინეობის სპეციალისტებმა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან სხდომა მოახდინეს და დაადგინეს, ნებადართულ იქმნას ღვინით ვაჭრობა ზოგიერთის შეზღუდვით, მაგალითად, ღვინო უნდა გაიყიდოს მხოლოდ დაბეჭდილ ჭურჭლით, საბინაო კომიტეტების მოთხოვნილებით და სხვა.

◆ **სოციალური დახმარება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, ნატურით ან ფულად დახმარების მთხოვნელთ მოეთხოვოს შემდეგში საბუთები: ა) ექიმის მოწმობა იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს დაკარგული შრომის უნარი; ბ) მოწმობა პროფკავშირისა, ქარხნის კომიტეტის ან სხვა ორგანიზაციებისა ხელობის შესახებ და გ) მოწმობა სიღარიბის შესახებ.

◆ **შინა მრეწველობის ორგანიზაცია** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა განყოფილება შინა მრეწველობისა, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება მატყლის სართავი ქარხანა, სახარატო, კალათის საწნავი და საქსოვი სახელოსნოები, რომელთა ნაწილიც იმყოფება თფილისში, ნაწილი კი პროვინციაში. ეწყობა უმაღლეს საქსოვის კურსები

◆ **ჟურნალისტთა კრება.** შაბათს, 26 მაისს, მუშათა სასახლეში, საღამოს 6 საათზე შესდგება არა ჩვეულებრივი კრება ჟურნალისტთა პროფ. კავშირის წევრთა. დასწრება სავალდებულოა.

◆ **სოციალ. უზრუნველყოფის ორგანიზაცია.** სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი შეუდგა ენერგიულ მუშაობას მცხოვრებლების ყველა სოციალურ დამხმარე ორგანიზაციის შეერთებისათვის. საავადმყოფო კასების მოქმედება მჭიდროთ იქნება დაკავშირებული სოც. უზრუნვ. და ჯანმრთელობის კომისარიატის მოქმედებასთან. ბავშთა თავშესაფარი გადადის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ხოლო სასადილოები ქალაქის სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში. ყველა ინვალიდი მიიღებს 1 გირ. პურს და სადილს. ინვალიდების პენსია გადაწყვეტილია გაადიდონ 100 პროც., იმასთან შედარებით, რასაც ისინი ღებულობდენ ყოფილ შრომის სამინისტროსაგან.

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

კახეთში.

(გაგრძელება)

მენშევიკი.

სართიჭალიდან ცუდი გზაა, ასე გამომიცეს; აზამბურიდან გაგიჭირდებაო, მითხრეს მხედრებმა, მაგრამ მაინც ესე უნდა წავიდე ესე [illegible].

მეც დავუჯერე, გადავახტი ველოსიპედს და გავქუსლე მარდათ.

გასწი, იარე შენ ჩემო რაშო გზა, ნახე მშრალი! ვიწრო ბილიკად დატკეპნილი მოსძებნე კვალი. და თუ ვერ ჰპოვო ჰოჰ-ლაფებში შენ გაიკვლიე, ნუ დაბრკოლდები ოღონდ იარე, იარე მალე.

მირბის, მიჰქრის რეზინის თვლებზე „ფოლადის რაში“ და თან მიაფრენს სისხლის ფერ დროშას კახეთის ცაში.

აი გაიარა მან სოფელი, დაეშო ლაღად, ვიწრო ბილიკით სწრაფათ განვლო მან დაბრკოლებანი გზა. და ახლა მიჰქრის დაშვებულ გზაზე [illegible] უშიშრად, რახან გაშალა აღმაფრენის ფრთა განიერ მშრალზე.

— აუ, აუ, აუ! ავ, ავ, ავ!—გამომეკიდნენ მწყემსის ძაღლები ცხვრისა ფარიდან.

— მურა, მურა, მურა, მურა!

— გიშერ, გიშერ, გიშერ!

— ჰაი თქვე უპატრონოებო, ბეითალებო თქვენა! გამოეკიდნენ ერთგულ პირუტყვებს პატარა მეხრეები.

მირბის, მიჰქრის რეზინის თვლებზე „ფოლადის რაში“ და თან მიაფრენს ჩემს წითელ დროშას კახეთის ცაში.

გზაში სიამოვნებით ვიგონებდი წუხანდელ ნანახს, წითელ ლაშქრელებთა დაღლილ დაქანცულ მაგრამ კეთილ და საიმედო სახეს. მაგონდებოდა მათი სიტყვები, ტკბილი ღიმილი და მასლაათი, სიამოვნებით ვიგონებდი ხუმარა თედოს, მის გულწრფელობას, ბოდიშის მოხდას კვერცხის შესახებ.

ვაიმე! სულ არ ჩამშხამდა! გზა აღარ არის? 5 ვერსი გამოვიარე, მაგრამ 5 კიდევ აზამბურამდის. გზა კი აღარ იყო. მხოლოდ აღმართი და ისიც ბელტებით გამხმარ ტალახით მოფენილიყო. საშუალება არსად იყო, ამ ბელტებზე უნდა ამეგორებინა ხელით მაშინა, ხან კიდევ ზურგით მეტარებინა მალაკნების სოფელ აზამბურამდე. ბევრი წვალების და ვაი ვაგლახის შემდეგ, როგორც იყო ავედი სოფლად. აქ კი ისევ გადავაჯექი „შეხი მაშინას“ და ისე დავეშვი თავდაღმართზე, როგორც შურდული მთის მწვერვალიდან გამოსროლილი.

გზაში მგზავრები არ შემხვედრია ფურგუნის გარდა, რომლითაც, სამსახურის ასასრულებლად, ციხეებიდან ახლად გამოსული კომუნისტები თავთავიანთ რაიონებს უბრუნდებოდნენ.

ასე მივრბოდი [illegible] ხიდამდე გძელ თავდაღმართზე [illegible] კვლავ ესევე განვაგრძობდი ხიდის შემდეგაც, რომ გზის პირიდან ჩემთვის უეცრად უცნობი ვინმე, ჩასაფრებული მგელივით არ გადმომხტარიყო და ჩემი გზა არ გადაეღობა.

— შესდეგ, შე ტეტიავ! სად მიაჰენებ?—დამჭყვლა ხმამ და გაშალა მკლავი.

ბიჭოს, ლევან! შენ აქ რა გინდა?

— შენ ჩამო, ჩამოდი ვაზლა! აბა გაიხედე, მარტო მე კი არ გეგონო აქ!—და გაიშვირა ხელი შორს გზის მარცხნივ.

მესიამოვნა, გამეხარდა ძალიან, როდესაც გაშვერილ თითმა ნაცნობი გურჯაანელები დამანახა მინდორზე.

ესენი „ტაჩკით“ წამოსულიყვნენ თბილისიდან და აქ მუდრიზე მგზავრულად დაენთოთ ცეცხლი და ტკბილი კახური ნუნუათი ძმურად ერთ ლუკმა პურს შეექცეოდნენ.

მივესალმე, ჩამოვართვი ხელი ყველას და შინაურულად ამათთან ერთად ჩავიკეცე პურის საჭმელად.

დაიწყო მასლაათი ლევანამ.

— წუხელი სართიჭალაში გავათენეთ. შენი იქ ყოფნაც გავიგეთ, მაგრამ არ შეგაწუხეთ, ხელი არ შეგიშალეთ, თორემ ნახვა ძალიან გვინდოდა.

ვილაპარაკეთ ამაზე, იმაზე; მოვიგონეთ ესა თუ ისა, მაგრამ ყველა ამ ლაპარაკს მე იმდენად ყურს არ ვუგდებდი, რამდენადაც ვათვალიერებდი იმ ადამიანს, რომელიც ჩვენ მასლაათს ჩემსავით ყურს არ უგდებდა და მწუხარების ოხვრა-ტირილით მალ-მალ არღვევდა ჩვენ იდილიას.

— ვინ არის ეს, რასა სტირის? შევეკითხე ჩუმათ ჩემ მეზობელსა.

— არ იცნობ, განა?

— არა.

— ეს არის დეპოს მუშა, მენშევიკია.. საიდან მოდის, არ ვიცით სწორედ... ჩვენც აქ წამოვეწიეთ.. ვიცნობდით და მივიპატიჟეთ... არც პურსა სჭამს, არც ღვინოსა სვამს და აი ესე ზის და ტირის...

— რას ამბობს მაინც?

— აბა რა ვიცი, ვერავინ გაუგო მ[illegible]ჯური ენა.

ჩვენი ჩურჩული ყველამ გაიგო. ასტყდა ამის შესახებ ხმა მაღლა ლაპარაკი.

— კაცო, ეს შეშინებულია, ვერ ატყობთ განა? სადღაც რაღაცა გადაჰხვედრია—დაიწყო კოტემ გაუგებრობის განმარტება—რა დაგემართა შე კაი კაცო, ნუ თუ ხმას ვერ ამოიღებ?—მიუბრუნდა მუშას.

გაიგო მენშევიკმა, უფრო ათრთოლდა, აქვითინდა და ცრემლები ლაპა-ლუპით გადმოუშო ლოყებზე.

— რაშია საქმე, ვერ იტყვი კაცო?—შეეკითხა ლევანა.

— აი, უა, ბიჭო!—ხელების ტრიალით და ენის ლუღლუღით წაიბურტყუნა უცნაურ ადამიანმა.

— გაუშვით ერთი! რაღას აწვალებთ? ხომ ხედავთ კაცს ხმა ვეღარ დაუძრავს.

— იქნებ წინათაც ეგეთი იყო? შევეკითხე მე—იქნებ მუნჯია?

— უკაცრაოდ ამხანაგო, განა არ იცნობ? ეს იყო პირველი ორატორი. პირველი მწერალი. შენ უნდა იცნობდე ამას კარგათ?

რა ვქნა ვერ ვიცნობ.

ვერაფერი ვერ გავიგე და არც შეიძლებოდა რამის გაგება.

მოვისადილეთ, მოვილაპარაკეთ, გადავუხადე დიდი მადლობა, ვურჩიე ავადმყოფი თან წაეყვანათ, გამოვემშვიდობე და გავუდექი ჩემ გზას.

ბადიაურში.

დილის ათი საათიდან გამოსული სართიჭალიდან, საათის ორზე ძლივს მივედი სადგურ ბადიაურში.

სადგურის შენობიდან ჯერ ისევ შორს ვიყავი, როდესაც ჩემ მისაგებებლად კიბეებით ჩამოვიდა რკინის გზის მოხელე და ცნობის მოყვარეობით გამოსწია ჩემსკენ.

— გამარჯობა თქვენი!—ჩამოველ დაბლა და [illegible] მოხელეს.

— გაგიმარჯოთ!.. მოითმინეთ, თქვენ ქურხული არა ბრძანდებით, ილიკო?

— დიახ, გახლავართ.

მოხელეს ჩემი ნახვა ისე გაეხარდა [illegible] დიდი ხნის უნახავი მშობელი არხზე, ჩ მომართვა ხელი, მომხვია და სამჯერ გადამკოცნა.

— საიდან მობრძანდებით ძია ილიკო, საიდან?..

სიხარულის აღელვებამ ისიც კი დაავიწყა, რომ მე მას ძიათ ვერ მოხვდებოდი. მოხელე ხუთი ოდე წლით მაინც უფროსი იქნებოდა ჩემზე.

— თბილისიდან მეგობარო, თბილისიდან. ჯერ ხომ იქიდან არავის გამოუვლია აქეთ?

— არა ძია ილიკო, არა! პირველს თქვენ გხედავთ იქიდან მოსულს. რა ამბავია, მიამბეთ ჩქარა, თორემ ვერ ვითმენ, მევსება ბოღმა?

— მშვიდობა; სიწყნარე და წესიერება.

— მაშ არაფერი დაუნგრევიათ? დედა ქალაქი არ გაუნადგურებიათ?

— სისულელე, მაგას ვინ იზამდა?

— რა ვიცი, ისე ვართ მენშევიკებისაგან დაშინებული, რომ შენ თუ არ გეთქვა, სხვას არ დაუჯერებდი. მადლობა ღმერთს, რომ ესე გადავრჩით! მაგ უსვინდისოებმა, მაგ უნამუსოებმა აქ მიატ-მოამტვრიეს. სადგურის უფროსი ყველაზე ადრე დაფათურდა. შეჰკრა, შემოჰკრა, ჩაჯიბა, ჩამოჯიბა და გაუსვა თბილისისაკენ. ჩვენც გვაძლევდა ფულს, თუ გავყვებოდით, მაგრამ აქაურობას თავი ჩვენ ვერ დავანებეთ და დავრჩით ღვთის ანაბარა. პური არა გვაქვს, წყალს ორი ვერსის შორიდან, სოფელ ბადიაურიდან ვედროებით ვაქანინებთ. გვაქვს ღვინო და წყლის ბადლად ამას ვსვამთ, გნებავთ მოგართმევთ. დაღლილი იქნებით?

— ღვინო მიიტა, ღვინო!—ვიღაცა [illegible] მიაძახა მოხელემ და მოტრიალდა [illegible] ჩემსკენ.

— სხვა ძია ილიკო, [illegible] ამბობთ?

— ფედერალისტებ [illegible]

ჯას დაადგნენ, შემო [illegible]

ხელოვნება

ქართველ ხელოვანთა სასახლე.

ქართველ ხელოვანთა კომიტეტმა დაადგინა ყველა რაიონის კლუბებში გამართოს პერიოდულად მუშებისთვის სალიტერატურო ესტეტიური საღამოები. ამავე კომიტეტის ინიციატივით ქართველ ხელოვანთა სასახლეში გაიმართება სამხატვრო საღამოები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მწერლები, მსახიობები და მხატვრები.

დრამატიული სტუდია.

კვირას, მარტის 27 ს, ქართულ კლუბის თეატრში, დილით შესდგება მოწაფეთა სპექტაკლი დრამატიული სტუდიის პრაქტიკული მეცადინეობისა, რომლის ხელმძღვანელია პეტროგრადის მცირე და თბილისი საკამერო თეატრების მსახიობი მ. გ. დიევსკი. წარმოდგენილ იქნება გორკის პიესა „ფსკერზე". იგივე სტუდია დადგამს ჩეხოვის რამოდენიმე ნაწარმოებს და რამოდენიმე მუსიკალურ-ვოკალურ საღამოებს მოსკოვის სამხატვრო თეატრის პროგრამის თანახმათ.

ქართული დრამა.

შაბათს, მარტის 26-ს, სახელმწიფო დრამატიულ თეატრში დადგმული იქნება „ზღვასთან" ქართულ ენაზე. შემდეგ დაიდგმება სუმბათაშვილის პიესა „ლალატი". ამ დადგმისთვის მზადდება ახალი დეკორაციები და ტანსაცმელები.

მუშათა აუდიტორიაში.

შაბათს, მარტის 26 ს, საღამოს 5½ საათზე, ხელოვნების სასახლეში, სერგიევის ქ. № 13. შესდგება საქართველოში მყოფ რუს - მწერალთა საზოგადო კრება.

სახელმწიფო ოპერა.

ხუთშაბათს სტაროსტინის და სარაჯიშვილის მონაწილეობით დადგმულ იქნება ოპერა „ტრავიატა".

საკამერო თეატრი

ხუთშაბათს, 24 მარტს, დღის 4 ს. საკამერო თეატრში დანიშნულია გამოცდა იმ პირთა, რომელნიც ჩაეწერნენ დრამატიულ ხელოვნების სტუდიაში.

მსახიობთა მატერიალური დახმარება.

სახელმწიფო საოპერო თეატრის კომისარმა ამხ. ქართველიშვილმა გრუსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მსახიობთა მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ აიძულა ის მიემართა სახ. სასურს. კომისარიატისთვის თხოვნით, რათა დაუყონებლივ მიღებულ იქმნეს ზომები მსახიობთა და მოსამსახურეთა კვების გასაუმჯობესებლათ. სახალ. სასურსათო კომისარიატი შეპირდა ყოველგვარ ზომების მიღებას და პურის ულუფის 2 გ. გადიდებას მსახიობთა და მოსამსახურეთათვის და 1½ გირ. მათი ოჯახის წევრებისთვის. თეატრის გამგეობამ თავის მხრივ მისცა ავანსათ 500,000 მან. მსახიობთა და მოსამსახურეთათვის სურსათის შესაძენათ. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა, რათა მსახიობებსა და მოსამსახურეთ მიეცეთ დახმარება სესხის სახით და ძალიან ღარიბებს საჩუქრათ. რევკომი შეპირდა სახელმწიფო თეატრის მსახიობებს და მოსამსახურეებს დახმარება 10,000 მან. თითეულზე. გარდა ამისა ამ დღეებში გაიხსნება სასადილო. რაც შეეხება თეატრის ცხოვრების ძირითად გარდაქმნას, ამხ. ქართველიშვილის შეხედვით, ეხლა, ეს შეუძლებელია, რადგან სეზონის გათავებამდე დარჩა მხოლოდ ორი თვე. მიუხედავათ ამისა, მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ეს ორი თვე ინტენსიურათ იქნეს გამოყენებული, ე. ი. ახალ დადგმათა მხატვრულობის გაძლიერებით. გასტროლებზე მოწვეულია ცნობილი მსახიობი ქალი სტაროსტინა. შესდგება აგრეთვე ახალ საოპერო ძალთა დებიუტები. რეპერტუარში შედის მთელი რიგი ოპერებისა, რომლებიც ამ წელიწადში არ დადგმულა. დაიდგმება მთელი რიგი სიმფონიურ კონცერტებისა. ახლო მომავალში დაიდგმება ბალეტი „შეხერაზადა" რიმსკი კორსაკოვის მუსიკა და „ამირანი" — ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა. ამ ბალეტთა დადგმა მინდობილი აქვს მ. მ. მორდკინს.

მუშათა შორის.

პროფესიონალური ცხოვრება.

პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე, 20 მარტს, დადგენილ იქნა, პროფ. კავშირების მოწყობისა და ინსტრუქციების გამომუშავებისათვის—შეიქნას შტატი ინსტრუქტორებისა, 10 პროვინციისა და 5 ქალაქისათვის. საბჭოთა მომუშავეების კავშირის ორგანიზაციის საკითხის შესახებ გადაწყდა: წინადადება მიეცეს საორგანიზაციო ბიუროს ამ კავშირის დაარსებისათანავე მოახდინოს გამგეობის არჩევნები, სავაჭრო სამრეწველოების და საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა სახელმწიფო უმცროს და უფროს მოსამსახურეთა კავშირების დელეგატთა შეერთებულ სხდომაზე. შრომის სახალხო კომისარიატის განყოფილებამ დაადგინა, შეაერთოს შრომის მოწესრიგების განყოფილება პროფ. კავშირების საბჭოსთან, და აგრეთვე შეერთდეს შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკური განყოფილება და პროფ. კავშირების საბჭო.

„სურსათი"-ს კავშირში.

20 მარტს, „სურსათი"ს კავშირის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ამხ. სეროპიანისა და სირაძისა მიმდინარე საკითხის შესახებ, რომლის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: სასურსათო კავშირის საერთო კრება ადგენს მიესალმოს რევოლიუციონურ ძალებს და საქართველოს განთავისუფლებულ პროლეტარიატს და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს პროლეტარიატი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს იმ მიზნის მისაღწევათ, რომლისაკენაც მიისწრაფვის მსოფლიო რევოლიუცია. ამასთანავე კრება ადგენს თვალ-ყური ადევნოს და დაიცვას სოციალისტური საქართველო ყოველ შინაურ ბნელ ძალებისაგან. საერთო კრება წინადადებას აძლევს ყველა მუშებს სინდისიერათ აწარმოვონ ახალ მუშურ სახელმწიფოს საამშენებლო მუშაობა.

სადგურ „მოტორი" ქარხნის კომიტეტის მოთხოვნის გამო, რომ დაწესებულ იქნას მუშათა კონტროლი სადგურის მოქმედების შესახებ, კავშირის გამგეობამ დაადგინა განუმარტოს ქარხნის კომიტეტს, რომ მუშათა კონტროლის დაწესება იმ სახით, როგორც ამას მოითხოვს კომიტეტი, მოასწავებს ფაქტიურად სადგურის წარმოების მუშებისადმი გადაცემას და არა კონტროლს წარმოებაზე, რისთვისაც წინადადებას აძლევს ქარხნის კომიტეტს პირადათ თვალყური ადევნოს სადგურს და მის ქონების მთლიანობას და დაუშვას სალაროს კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშებს თავის დროზე არ მიეცათ მორიგი ჯამაგირი.

მადერის ასოთ ჩამომსხმელ ქარხანაში.

მადერის ასოთ ჩამომსხმელი ქარხანა არის ერთად-ერთი უძველესი ქარხანა თბილისში. 1917 წლამდე ქარხანა აწარმოებდა ფართო მუშაობას, რომელშიაც ირიცხებოდა 30 მუშამდე. ეხლა მუშაობს მხოლოდ 5 კაცი. მანქანები სრულიად გამართულია. მასალა აქვს საკმაო რაოდენობით. შენაკვეთიც მოსდით. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ასოთ ჩამომსხმელი ქარხანა, თუ უზრუნველ ყოფილი იქნა მუშა ხელით, ძლიერ გააფართოვებს თავის მოქმედებას.

წერ. რედაქციის მიმართ

მე, მდგომარეობით „ინტელიგენტ"-პროლეტარს, არ შემეძლო სოციალისტური მოძრაობისთვის გვერდი ამეხვია და მასში მონაწილეობა არ მიმეღო.

15 წელიწადია, რაც ვმუშაობ, როგორც სოც.-ფედერალისტი.

ორი რამ მაკავშირებდა მე ამ პარტიასთან: ერთი მიწის საკითხი და მეორეც—ეროვნული. მენშევიკური პარტია პირველსაც და მეორესაც თავისებურად ხსნიდა და, რაც თავი და თავია, ამ თავისებურ გაგებას მარქსიზმის თავისებურ გაგებასვე უკავშირებდა.

ეს იყო მიზეზი, რომ მე ჯერ კიდევ 1905-ში მათ ჩამოვშორდი და სოც.-ფედერალისტების პარტიაში ვმუშაობდი.

დღეს ფაქტის წინაშე ვდგევარ: წითელი დროშის ქვეშ დამდგარი ქართველი პროლეტარია და ლატაკ-გლეხის ლტოლვა-წადილები ხორციელდება. ეროვნული საკითხი მაქსიმალურად სწყდება: პროლეტარიატის დიქტატურისა და ეროვნული ჩაგვრის ერთად მოთავსება შეუძლებელია; მიწის ყიდვა-გაყიდვაც აკრძალულია.

რაც შეეხება მარქსიზმს (რევოლიუციონურს და არა მენშევიკურ-ოპორტიუნისტულს) — ეს უკანასკნელი არამც თუ მისაღებია, აუცილებელიც: მისი სიმართლე საკმაოდ დაამტკიცა როგორც ომმა, აგრეთვე მისმა შედეგებმა.

გამოვდივარ-რა ზემო - ნათქვამიდან, ვასკვნი:

კომუნისტური პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომელსაც შეუძლია მუშათა საკითხის ძირითადათ გადაჭრა, პროლეტარიატის დიქტატურა და მისი ფორმა—საბჭოები ერთად-ერთი საშუალებაა ხსენებულ საკითხის ძირითად გადასაჭრელად.

და როცა საკითხი სდგება: ან ლოიდ-ჯორჯი, ან ლენინი—ასეთ დროს ყოყმანი დაკნინების მეტს არაფერს მოასწავებს.

და ვისაც სურს სოციალისტურ დემოკრატიის ნამდვილი სამსახური, იგი უეჭველად ლენინის მიერ ნაჩვენებს გზას უნდა გაჰყვეს.

ეს არის ჩემი უკანასკნელი რწმენა.

ამიტომ, ვსტოვებ-რა სოც.-ფედერალისტთა პარტიას, დღეიდან ვეცდები კომუნისტურ მოძრაობაში ჩემი წვლილიც შევიტანო.

თბილისი. **სევერიანე მუხურიძე.**

სარედაქციო კოლეგია

ქიზიყელ თამადასთან.

ბადიაურიდან ტრიალი მინდვრით დავეშვი მაჩხაანისკენ მეჩქარებოდა მიგვიანდებოდა, ვიცოდი კიდეც, რომ სიღნაღში მხოლოდ ბინდისას ავიდოდი. წინ მედო ფეხით ასასვლელი დიდი აღმართი.

გავცდი ერთ მინდორს, გავცდი მეორეს და შევდექი მუხამის შარას. ამი სერიდან დაბლა ხის ძირში რაღაცა შავად გამოჩნდა გზაზე. უახლოვდები, შავი დიდდება, იზრდება განზე და თანდათან ირკვევა. ეხლა მკაფიოდ დავინახე ერთი ურემი, ზედ ორი ბოჩკა. აქვე, გამოშვებულ ურემთან სამი გლეხი კახურათ მოკეცილან და გემრიელ სადილს შეექცევიან. სულ რომ ახლო მივედი დავინახე თამადაც, რომელსაც აწეული ყანწი ჩემ დანახვაზე ისევე ხელში გაეყინა. ალბათ შეეშინდა წითელი დროშის, რადგანაც გაგონილი ექნებოდა, რომ ეს დროშა ლოთობას სდევნის.

— აი ეს ყანწი შენ გელის, აი!— გამომიწოდა ყანწი და თითონაც არ იყო დარწმუნებული, რომ გამოწვდილს ჩამოვართმევდი.

ჩამოველ, მოუჯექ, ჩამოვართვი და ვადღეგრძელე.

— ესეც მიირთვი. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს თქვენი მგზავრობა [illegible] წელში, კეთილათ მისვლა.

— ადღეგრძელოს! ჩამოვართვი.

— ეს ალავერდელის ქვეყანაზე სვინდისიერი და პატიოსანი [illegible]

თან. „სახალხო საქმის" ნაცვლად „სოციალისტ-ფედერალისტი" გამოდის ეხლა.

ეტყობოდა მოხელე ფედერალისტი იყო, რადგანაც ეს ამბავი ყველაზე ძაან გაუხარდა მას. ჩამომართვა ხელი და კიდევ გადამკოცნა.

— ძაან მოხარული ვარ, მოხარული ძია ილიკო!

ამასობაში მაღალ-მაღალი რკინის გზის მუშა ტიკით და ჯამით თავს წამოგვადგა.

დავლიე წყლის ნაცვლათ, დავლიეთ სადღეგრძელოებიც, ბევრი ვიმსჯელეთ, ვილაპარაკეთ და როცა ამასაც ბოლო მიუახლოვდა, გავხსენი ხურჯინი და მივაწოდე მოხელეებს რამდენიმე გაზეთი. მათ ძაან ესიამოვნათ, როდესაც გაზეთში თვალის გადაკვრით ამოიკითხეს: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს" ო.

— ბიჭოს, კიდევ დამოუკიდებელი! მაშ რა შეცვლილა? რა განადგურებულა?— გაშტერებით ჩამაშტერდა თვალებში მოხელე.

— არაფერი. მხოლოდ სოციალიზმს მოვუახლოვდით.

გაავსო ჯამი მოხელემ და ახალ საქართველოს სადღეგრძელო ძირამდის დასცალა.

— ესე მტერი დაგვეცალოს!—თანაც მიაძახა.

გამომშვიდობებისას ჩემ კეთილ მოსაუბრეთ, თედოს სტუმრებისაგან სართიჭალაში მიღებული, ქიშმიში გადავეცი.

— ოხ, არა! მაგას ვერ გამოგართმევთ! არ შეიძლება... დიდამა გზად [illegible]ბით.

[illegible]ნდა ჩამომართოდ, თქვენ კი არ [illegible]ქვენ ბავშვებს ვაძლევ... აბა [illegible] შემდეგ, როგორც [illegible]ჩვეული, გადავ-

ლოდ თქვენ არ მაურთმევთ, უნდა დაცალოთ!—მიაყვედურა.

მოაყოლა სადღეგრძელოები გლეხმა ერთი-მეორეზე საუკეთესოები, ერთი-მეორეზე ჰკვის ასწავლებელი. ორი ამხანაგი უკვე ისე გამოეთრო თამადას, რომ რას ამბობდნენ, ან სად იყვნენ არც ერთმა აღარ იცოდა.

— ყმაწვილო, ერთი რამ მაწუხებს და უნდა გკითხოთ, ხომ შეიძლება?

— ორი ბრძანეთ.

— აი რო იძახიან, ვენახები უნდა გაიკაფოსო, მართალია? ეგ როგორ შეიძლება?

— ვინ იძახის?

— მითომ ახალი მთავრობაო.

— ტყუილია. ახალ მთავრობაზე ბევრ სიცრუეს ავრცელებდნენ მტრები, მაგრამ ყველაფერი პროვოკაცია გამოდგა.

— მაშ არ დაუჯეროთ?

— არა.

— აი იცოცხლეთ!

— აბა ერთიც მიირთვით.

— რა დავლიოთ?

— გაუმარჯოს იმ დროს, როდესაც შენ კიდევ გნახავ შენი ჩონგურით მატარებლის ვაგონებში.

— განა შენც მიცნობ?

— დიახ, სწორედ იმდენად გიცნობთ.

ილიკო ქიზიყელი.

(გაგრძელება იქნება).

პროფესიონალურ კავშირებთან არსებულ კულტურულ განყოფილებების კონფერენცია

კვირას, 27 მარტს 1921 წ. დილის 10 ს. კინემატოგრაფ „მინიონის" დარბაზში (მუშათა სასახლე, ბარიათინის ქ.) მოხდება კონფერენცია ქალ. ტფილისის პროფესიონალური კავშირების ყველა კულტურულ განმანათლებელი კომისიებისა. სავალდებულოა დასწრება ყველა კომისიების წევრებისა სრული შემადგენლობით და აგრეთვე მუშათა კლუბის დროებითი ბიუროსი. წევრებმა გამოცხადების დროს უნდა იქონიონ თან მანდატები. კრება, როგორც მეორედ შემდგარი, ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავათ გამოცხადებულთა რიცხვისა.

დღის წესრიგი:

1. კულტურულ განყოფილების მოხსენება კულტ.-განმან. კომისიების მიზნებზე.
2. კულტურულ განყოფილებების კონსტრუქცია.
3. კულტურულ-განმანათლებელი კომისიების ინსტრუქცია.

ცენტრალურ საბინაო განყოფილებისაგან

ცენტრალურ საბინაო კომისიის შეერთებულმა სხდომამ 20 მარტს დაადგინა: 21 მარტიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე შეჩერებულ იქმნას მუშა-მოსამსახურეების ახალ ბინაში ჩასახლება, ვინაიდან ამ მოკლე ხანში ეს საერთო მასშტაბით გატარდება ცხოვრებაში, პროფკავშირების მიერ საჭირო ცნობების მოწოდებისთანავე. არავითარი თხოვნები და განცხადებები ბინის გამოცვლის შესახებ არ მიიღება განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

ცენტრალურ საბინაო განყოფ. თავმჯდომარე: **ს. მეგრელიშვილი.**

კვირას, 27 მარტს, დილის 11 საათზე მუშათა სასახლეში

(მე 5 სართული) დანიშნულია თბილისის თუთუნის ქარხნების უმუშევართა საერთო კრება. უმუშევარი ამხანაგები კრებას უნდა დაესწრონ აუცილებლად. ვინც არ დაესწრება, საპატიო მიზეზის გარეშე, ჩვენი სიიდან ამოშლილი იქნებიან. კრებას უნდა დაესწრონ აგრეთვე ყველა თუთუნის ქარხნების კომიტეტები.

კვირას, 27 მარტს, 12 ს. ქალაქის თვითმართველობის

შენობაში დანიშნულია ვეტერინალურ ასპარეზზე მომუშავეთა კრება; ვინაიდან განსახილველია მეტად საყურადღებო კითხვები, ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ ამ კრებას.

საინიციატივო ჯგუფი.

საქ. რევ. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის ბიუროში

(დამფუძნებელი კრების ქ. № 6.) შაბათს, 26 მარტს მოხდება კავშირის წევრთა საერთო კრება. მოსმენილ იქნება მოხსენებანი: 1) მომენტის შესახებ. 2) საორგანიზაციო საკითხზე.

დღეს, 25 მარტს, საღამოს 5 საათზე

ყოფილ ქალაქის საბჭოს დარბაზში შედგება საერთო კრება ამხ. კომუნისტებისა, რომლებიც ჩამოვიდენ ბათომიდან, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. მოხსენებას წაიკითხავენ მიმდინარე მომენტზე და გაირჩევა კიდევ სხვა და სხვა კითხვები.

შაბათს, 26 მარტს, საღამოს 6 საათზე,

კინო-თეატრ „მინიონში" (მუშათა სასახლე) შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) საბჭოს კონსტრუქცია და მახლობელი დანიშნულება, 3) შრომის კომისარიატის კონსტრუქცია და მახლობელი დანიშნულება, 4) მიმდინარე კითხვები.

საბჭოს პრეზიდიუმი.

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ"-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

გაზ. „კომუნისტი"-ს

[illegible] შეიძლება [illegible] ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).